


გვერდი, 13 სერგებერი 1915 წ.

ფასი 10 გვ.

იუმორისგ. უურნალი



გერმანელი მხედარი სწროვნის 16 წლის ოსმალელ ბავშვებს.

შემთხვევაა უგელათერი!

(ზეთხელების დღი)

უბედურება, რომელიც ჩვენი უურნალის გარ-
შემო დატრიალდა, საჭიროთ მიმაჩნია გავაცნოთ
ჩვენს პატივცემულ მკითხველებს. მხოლოდ ათ სექ-
ტემბერს, ხუთშაბათ სალამოს გამოირკვა, რომ ბა-
ტონი ეშმაკი და თაგუნა ქალაქში არ იმყოფებიან
და იდეური მხარე ჩვენი უურნალისა, რომელიც მათ
მოვალეობას შეადგენდა, უპატრიონოთ არის დარ-
ჩენილი. ვინ იცის კადევ რამდენხანს არ გამორ-
კვეთავიყო ეს უბედურება ჩვენთვის, რომ ჩვენს
კანტორაში თვით ბ-ნი თაგუნას ოჯახობა არ მო-
სულიყო და არ ეთქვა, რომ სადღაც კაცი დაი-
კარგა, მეშვიდე დღეა რაც ოთახების საძებნელით
წავიდა და არ დაბრუნებულია. მე უთხარი — რამ
შეგაშინათ, ის ერთი ხანია ეშმაკთან ერთათ მუ-
შაობს და მასალებს ეშმაკის ოთახში ამზადებენ
თქვა. მე ასედაც მეგონა, მაშინვე გავექანეთ ეშმა-
კის ბინაზე. ვნახეთ ოთახი დაკეტილია და გარეთ
ფანჯარაზედ რაღაც წერილი დევს. მაშინვე წერი-
ლი წავიკითხეთ და თქვენმა მტერმა გაიგო ისეთი
ამბავი:

„მმაო თაგუნა! მე ეხლა ი ამ წუთში გადავ-
წყვიტე კახეთში წასულა და მივღივარ კიდევც. ცხა-
ლია მე ხეალ დილით დავბრუნდები თუ რაიშე გან-
საკუთრებული შემთხვევა არ დამირჩა. იმედია შენ
ამ ნომერს ჩვენი უურნალისას უჩემოთაც შეად-
გენ. შენი ეშმაკი“.

ეს წერილი სრულად არ მქონდა წაკითხული
ამ დროს ბ-ნი თაგუნას ოჯახობამ დაიწყო მეორე
წერილის კითხვა, რომელიც იქვე მეორე ფანჯა-
რაზე ყოფილიყო შემოდებული:

„მმაო ეშმაკო! მე სახლში ვეღარ მოგისწარი,
შენ ალბათ ეხლა ქართულ კლუბში ვახშმობ და
მე კი სიარული აღარ შემიძლია, დღეს მესამე დღეა
სახლიდგან წამოვედი ბინის საძებნელით და ჯერ
კიდევ ვერ ვიპოვნე ოთახები, ეხლა მივდივარ ქა-
ლაქის განაპირა უბნებში, შეიძლება ერთი სამი
დღე მომიგვიანდეს და თუ ჩვენებში მიკითხოს ეტ-
ყვირ, რომ ბინიზა დავეხეტები. აგრეთვე იმედი
მაქვს ამ ნომერს უჩემოთ შეადგენ და მერმე
როცა დავბინავდები თუგინდ მთელ თვეს ისეირნე.

ეხლა კი ჩემი საქმე სხვაფერ არის. ჯერ კიდევ
ერთი თვის წინად ბაკურიანიდან იმიტომ წამოვე-
დი, ბინა მეშოვნა, მაგრამ მაშინ სანამ ცოლ-შვი-
ლი არ ჩამოვიდა თავი არ შევიწუხე. ეხლა სანამ
ბინას არ ვიშოვნი სახლში ვერ მივალ და გზაში
კი საქურნალო წერილები ხომ არ დაიწერება. შე-
ნი თაგუნა“.


ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მე თავი
ძლიერ ცუდათ ვიგრძენი. ეხლა უკვე გამოირკვა,
რომ უურნალის ნომერი აღარ გამოვა და ეს ხომ
ხელის მომწერლების და მკითხველების წინაშე და-
ნაშაულად ჩაეთვლება გამომცემელს, თუგინდ მი-
ზეზი ეშმაკი და თაგუნა იყოს.

მე როდესაც ძლიერ შევწუხდი, მაშინ ბ-ნი
თაგუნას ოჯახობამ მანუგეშა: „რაღას სწუხართ
თქვენ, მაღლობა ღმერას ისინი კარგათ ყოფილან,
ერთი კახეთში წასულა, მეორე ოთახებს ეძებს. რა-
ღა გაქვთ სამწუხაროო, დამემშვიდობა და წავიდა.

ერთი საათის შემდეგ გონს მოვედი და გადავ-
სწყვიტე თითონ შეედგინა ეს ერთი ნომერი, რო-
მელიც დიდი ვაი-ვაგლახით სისრულეშიც მოვი-
ყვინე. თუ ეს ნომერი შედარებით სუსტია და ვერ
ისიამოვნებთ, ამაში დამნაშავეა ბ-ნი ეშმაკი და
თაგუნა. დევ ისინმა აგონ პასუხი თქვენს წინაშე.
თუმცა ბ-ნ ეშმაკის დანაშაული უფრო ნაკლებია
და უნდა ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე, რათა
მისი საჯარი შემსუბუქდეს. ის შეყვარებულია და
რაღგან სიყვარული ხანში შესულ ეშმაკზედაც ისე
მოქმედობს, როგორც აღამიანზე, არ არის საძრახი-
სი მისი მოუსვენრობა. ხოლო თაგუნა კი დიდი
დამნაშავეა. ერთი თვე, ბაკურიანიდან დაბრუნებუ-
ლი ბინის საქირავებლათ, დღე და ღამ თხუნჯობ-
და, და ეხლა, როცა ოთახები აღარ იშონება
მაშინ დაედებს?

დევ ყველამ თავის მოვალეობა შეასრულოს.
თუმცა მე სხვის მოვალეობას ვასრულებ და ისეთ
საქმეს მოვკიდე ხელი რაც ჩემს ხელობას არ შეაღ-
გენს, მაგრამ რა გაეწყობა, შემთხვევაა ყველაფერი.

აბესალონი



ჩვენებური კაუთმანი.

(ამბავი)

ძალიან კოხტა და ლამაზია ვლადიმერ არ — ძე. ჩაც ფნდა იყოს, ნოქარი კია მაგრამ, მისი წვრილი წელი, ჭარხალივით წითელ ღოყებზე ახლად აშლილი შავი ულვაშები, შნოსა და ლაზათს აძლევს ისედაც ზშვენიერათ მოლაპარაკე ვლადიმერს. ვისაც მხოლოდ თვალებში უჭრის კუუს, ამისთანა კუა თხელი და ჯიბე ცარიელი ურჩევნია, ულამაზო, მღიდარ გენიოსს.

ამისთანა ფრანტს, ამისთანა ლამაზს, უველუ გან და ყოველთვის შეუძლია, გაეირშიყოს და სიკარული გამოუცხადოს ჩვენებურ ბანოვანებს და რა საკირველია, ბევრი ქალიც სიამოვნებით თანხმობის ნიშნათ თავს დახრის მის წინაშე.

ვლადიმერმა მას შემდეგ მიიღო „პრიზი“ არ-შიყობაში, ჩაც მას კურკური და ხუნტრული და უწყეს ჩვენმა „ტაბასკვერა“ ბანოვანებმა.

— რა მენაფლება თუ ჩემი არ გახდება, არ-შიყობით ხომ მაინც ვიჯერებ გულსო, — ამბობდა ზოგიერთი მათვანი, სადაც კი ხელში ჩაიგდებდენ ლამაზ ვლადიმერს და რასაკვირველია ვლადიმერიც არ ტოვებდა მათ გულ-დაწყვეტილს და როგორც კაუთმანი, (რომელიც 24 ქვრიანს, 36 ქვრივსა და 44 გასათხოვარს უველას ცოლათ შერთვას პირდებოდა, ვინემ ოინებს გაუგებდენ), ვლადიმერიც ასე იქცეოდა. რამდენი მაქანკალი მოუყიდოდა, ყველას ეთანხმებოდა და ყველას ნიშნავდა. რამდენ ქალს გეიცნობდა ყველას სიყვარულს უხსნიდა და შერთვას პირდებოდა. .

ვლადიმერს სხვა და სხვა უსახელო წერილებიც მოდიოდა ჩვენებურ ხუნტრულუნა ქილიშვილებიდან, რომელნიც გასაცნობათ პატარი ეპატი-შებოდენ; მაგრამ ის ამისთანაებს ყურადღებას არ აქცევდა, ვინაიდან გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ზოგიერთები უნის მოსაკრავათ გეიტყვილებდენ და მოტყუებული რჩებოდა.

ერთხელ ლადოს სასიამოვნო წერილი მოუვიდა, რომელიც ღექვსად იყო დაწერილი:

„ოცნებივ ჩემო, მშვენიერო,
ჩემო ლადიკო,

ლამაზ კაც შორის ლამაზო და
ულამაზეს;

სილოცავ ხატად გარდამექტა
შენი აჩრდილი,

გაცნობის შემდეგ ტრფობის ძალა
გულზე დამესო.

და ახლა გნუკავ, გეხვეწები,
რაც უნდა მოხდეს
როცა შებინდდეს, ბალის კუთხით
მომინახულო;
სადაც გვჩვევია ნეტარება
ხვევნა ალერსი,
არ გამაწმილო სიცოცხლეო
და ჩემო გულო“.

— ის არის, ის გაიღიმა ვლადიმერმა და წერილი ჯიბეში ჩაიჭუჭენა.

საღამო ხანია, კა პოეტურათ ვარსკვლავების რითმებსა სწავს, ამტვერიანებულ ქუთაისის ქუჩებში ნიავმა დაუბერა და ხალხიც ბუზებივით გამოეფინა ბულვარდში. მხოლოდ ერთ მიბნელებულ უბანში ზის მარტოკა ვლადიმერი, ქუჩაში სხეულით მოვაჭრე ქალებს ძყოლებს თვალებს, რომლებიც ლამის ლანდებივით დაცუციალობენ. ვლადიმერს ჩაეჭრა გულში მათი ადევნება, გულს უტოკებს ისინი, სურს გაჰყვეს მათ, მაგრამ იმას ხომ ვერ მოატყვილებს ვინაც დაიბარა? ეგება ვინ იცის მას ქანქარიც ჩამოცანულოს რამე.

ამ ფიქრებით არის გატაცებული ვლადიმერი, როცა ტარიელისებურმა, მკლავზე უმსხოსმა მათრახმა თავ-პირში რამოდენიმე ტყლაშენი მოილო, მოჩვენება მყისვე ლამის ლანდივით გაჭქრა. ვლადიმერი პირქვე მიწაზე გაიშხლართა და ლრიალი მორთო. ხალხი მიცვინდა... არიქა წყალი... არ იშოვება, იქვე ურიის კვასი აპკურეს და მოასურიელეს...

მეორე ღლეს ხალხის ენაზე შემდეგი განცხადება იყო წარწერილი: ვლადიმერ არ — ძე წაუყვანია მაჭანკალს ქალის დასანიშნავათ, ხუთასი მანათის მზითვში 25 თუმანი ნიშნობის დროს აუღია, სამი თუმნის ნიშნები მიუტანია, შემდეგ ქალი რაღაც თინაზობით ყინულზე გაუცურებია, და 22 თუმანი გადუყლაპავსო...

მესამე ღლეს ხალხის ენაზე შემდეგი წარწერა მიმატებოდა: ვლადიმერს ამისთანა შანტა-ჟისტრობა ბევრი ჩაუდენია, ბევრმა უჩივლა, ბევრი უჩივის, მაგრამ აბა რას დააკლებენ გეგმა დროზე ჰქონია დაწყობილოთ...

შეხუთე ღლეს კი ყველას ენაზე წაცვეთილიყო ნაწერი, მხოლოდ ქარაფშეტა ბანოვანთა გულის ფიცარჩე მსხვილი ასოებით ეწერა: ვლადიმერი შანტა-ჟისტრია, ოხერია, მაგრამ მაინც კარგიაო...

რეპექტ-როკოკო.

მეგობრული მათრახები.

მწერლები გაგვიზარმაცდა,
„ეშმაკის მათრახელები!“

(აუკონიათ პირი და
დაუკრებიათ ხელები).

თანამშრომლებზე უფრორე
ცულლუტობს მესვეურები!
(სხვებს ლანძლვენ, თითონ არიან
საცემი—საპალურები).

—
ეშმაკი, ბოლო ხანებში
ვეღარ გვიწერავს შაირებს,
(პროზით კი ძალზე გაშემრავს
რომელსაც დაძაირებს).

მუზა დაპკარგა მეტის-მეტ
კახეთში მოგზაურობით,
(მგონი სიმართლე გამოდგეს
რაც იმაზე სოქვეს ხუმრობით).

—
კოლომ თუ კვირის-კვირაზე
დასწერა თითო შარადა,
(ყითომ დიდ რამეს აკეთებს,
დაბზუს წარა-მარადა!)
ის ეშმაკს მოუწვევია
შეითხველთა გასამწარადა,
(არც მოგვასვენებს მგონია,
ამოსაგდები გვარადა).

—
მსმენელებს კვლავინდებურათ
ველარ აცინებს თაგუნა!
(მიკირს ეგ მარდი ცხოველი
ეგრე რამ დააძაბუნა!)
მაშინ მუზაც კი მოუვლის
თუ გამოვიდა ცენაზე
(და ისე მოელი თვეობით
კლიმეს დაიდგამს ენაზე!)

—
დიდი ხანია დავკარგეთ
ბლიკვაძე, ძველი მესტვირე,
(გამოჩნდებათ ველოდით,
ის ის კვირე, ეს კვირე),
შაგრამ ექვსი თვე იმისგან
არ მიგვილია წერილი,

(რა ვქნათ, ჯერ იმედს არ ვკარგავთ,
მაინც ვართ თავდაჭერილი).

დღეს ველარც პიონა ოხუნჯობს,
მოსცენე, ენა ფხიანი,
(არ ვიცით რამ დამუნჯა,
ან რა შეემთხვა ზიანი!)
თუ „გონირარი“ მოუნდა,
ციხის ცხოველება სწყურია—
(დასწეროს რამე კვიმატი,
ააყაყანოს გურია).

—
ონისიმე კი მალი-მალ
გვეტყოდა იგავ-არაკებს,
(ბოლო ხანს ველარც იმისგან
ვისმენთ ტკბილ ნალაპარაკებს!)
ვაკ თუ იმანც შემდეგ ში
სხვებს, ავით წაიზარმაცა?!
(მაშინ ხომ ჩაგვიმწარდება
ჩევნი სმაი და ჭამაცა).

—
მაგრამ თუ კველა ზარმაცობს
ერთ მაინც გვყავს ბუტუნა,
(მზვერავი არის, ქალები
თუ ვინმეგმ ჩაიხუტუნა),
მოიწერს სენსაციურად,
ძლიერ მამაცი კაცია,
(მაგრამ დღეს ჭირად იმასაც
აუტყოდა— „დიფამაცია!“)

—
ცნობილო თანამშრომლებო!
გვალხინეთ ქვეყნის ამბითა,
თორემ თუ გადაგაყენეთ
თქვენი მთავარი შტაბითა,
მაშინ ჩვენ მებრძოლ არმიას
შევამსებთ ახალ ძალებით
(და თქვენ—იარაღ ძყრილი
მტერსაც კი შეებრალებით).

მათრახოსანი.



გურული ენაკვიმატები

II

თომა თოხაძე.

განსვენებული თომა თოხაძე აკეთელი გლეხი იყო, ჭიუა მახვილი, დარბაისელი, მოსწრებული „საწამლივი“ მოლაპარაკე, ვეფხვის ტყაოსნის ზეპირად მცოდნე. ის მამა იყო გურიაში ცნობილი და საყვარელის პავლია მამასახლისის (აშ გარდა-ცვალებულის). თვით თომაც ჯერ სოფლის მსაჯულად და მერე მამასახლისადაც იყო. თომას დროს გურიაში ფეოდალების ბატონობა იყო. მებატონე თავადების სასახლეში, თუ არ რჩეული გლეხი ისე შესვლას ვინ გაძედავდა. თომა თოხაძე სასახლეში მიღებული კაცი იყო. აკეთის მშრალებელი იმ დროს იყო თავ. ყარამან თავდგირიძე. ამ სასახლის წევრებს სხვათა შორის ერთი გასართობი ჰქონდათ შემოღებული, სტუმარს მიართმევდენ რვეულს (აღბომს) და სავალდებულოთ უხდიდენ შიგ ლექსი ჩაწერა. სტუმრების უმეტესობა, ცხადია, საარშიყო და საქათინაურო ლექსებს წერდენ. თომასაც მიაწოდეს ეს რვეული და დაავალეს შიგ ლექსის ჩაწერა. თომა პირველად გაეცნო სხვების ნაწერებს. ნახა რომ ვიღაც ხუცებს შიგ ჩაუწერია არშიყული ლექსი, ნახა რომ ერთ თავადის ქალს (ანნას) სამჯერ ნაქვრიგალს და მერე ამოლაზვნებულსაც უნებებია შიგ ლექსის ჩაწერა, წაიკითხა აზ. გოჯასპირ მგელაძის ლექსიც. გოჯასპირი მაძიებელი აზნაური იყო, დიდი ფაფხურა კაცი, წვერს იღებავდა, მუდამ ახალგაზრდობდა და აზნაურობის მიღებამდე ცოლს არ ირთავდა. ამ ამათ ნაწერ ლექსებს რომ გაეცნო (თომა მაშინ სოფლის მსაჯული იყო) მერე ჩაწერა შემდეგი ლექსი:

„მოსამართლის მონაწილე
ლექსისა ვიტყვი ერთსა უცებს:
არშიყული ლექსი უაქვამთ
ქაქუთიდან მოსულ ხუცებს,
ანნას მოლოზონებრ უთქვამს
თინათინებრ ნაკეპლუცებს,
ამ გოჯასპირს ვიღა სჯიდა
სამოცი წლის მონახუცება!“.

თომა და ბერი.

თომას ერთი მეზობელი ჰყავდა, ჩუმი და წყნარი, ერთი სიტყვით ისეთი, რომელზედაც გურიაში იტყვიან ჩოფანოა (ჯაბანი). ეს ახალგაზრდა თვით მიხვდა. რომ საამქვეყნიოთ არ ვარგოდა, წავიდა მონასტერში და ბერათ შედგა. რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფელში მოვიდა და თომას შეხვდა.

თომამ ჰკითხა:

— რათ ხარ ახლა ბიძია შენ?

— მე ბატონო მორჩილი*) გახლავარ!

— მორჩილი და ჩოფანო აქანიც კი იყვი და ამიზა მონასტერში რას მიხვიდოდიო. უთხრა თომამ.

პერპეტუალი თბილე.



პატარა ფელეტონი.

„თბილი აღგილისთვის“.

„არ შეშვენის, სწორე გითხრათ
აჩქარება ნოჩ ქართველებს,
მათი ქცევა არ ჰქონიათ
მამა-პაპათ, ჩვენსა ძველებს.

დინჯნი იყვნენ, სულ-დათქმულ
და ყოველ-გვარ სანახავებს
მხოლოდ მაშინ დაღად-ყოფა
როს იჭერდენ დამნაშავებს...“

ჩვენ-კი... სხვა ვართ, მათ არ ვევართ
აგვერია მდლათ დავთარი—
სანამ საქმეს მოვაგვარებთ
მანამ გვიყვარს დავჭრათ ზარი!

*) ბერობის პირველი საფეხურია.

ეჭ, ქართველნო, ვით მიხვდებით
როგორა ვარ გულ-დამწვარი!...
ბრიყენი, უვიუ-უსუსურნი
მე მაძლევენ გაკვეთილებს,
რაღაც ეჭვები აღეძრათ—
ხმარობენ მრავალ წერტილებს.
რა ვიცი რა მოუვიდათ
ჩემს მოძმეთ, ადამაშვილებს,
მათ ჰელნიათ, რომ მე ბანკში
დავეძებდე „თბილ ადგილებს“!...
არა, ღმერთი, რჯული არა,
არ მაქეს ამის საწადელი;
ჩემს ფიცს ენდეთ, ტყვილს არ ვიტყვი,
მამა მყვანდა პატრი-მღვდელი!
ოჭ, „სახალხოვ“, შენ მინვდები
როგორ მტანჯავს ეგ ნალველი!...
რათ მინდა, რომ ბანკში ვიჯდე,
ვიმსახურო დირექტორათ;
ის არ მიჯობს ქართველები
მთვლიდენ „დოკტორ-პროფესორათ“?!

ჩემთვისა ვარ მოსვენებით
ფულსაც ვაღებ ერთი-ორათ,
ხანდახან-კი გაზეთები
მიმწვევენ რედაქტორათ...
მე რათ უნდა ვსწუხდე მისთვის,
რომ ჩამრიცხონ კანდიდატათ?
თავი ისევ მათ იმტვრიონ,
ვისც ეგ აზრი დაებადათ!—
ეჭ, ნერავი არ მსჯელობდენ
ქართველებო ეგრე ნარდათ!...
—
ასე ბჭობს ჩვენი ფილიპე
მაგრამ ერთი რამ არს ცუდი:
„სახალხოელთა“ ბუდეში—
მამალს მაინც უჩინს კუდი!...

ალბურიონი.



შავის გათეთრება.

(ბათუმისათვის).

ორშაბათი დღეა. ოჭ, რა კვიმატი დღეა ეს
ორშაბათი! ქალაქის მესაჭეთათვის, ამ დღეს უნდა
გადაწყდეს მათი ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ორ-
შაბათი მათთვის განჯა-გაკითხვის დღეა; როცა,
რომელიმე წევრს ქალაქის თვითმართველობისას
სამსახურის ყავლი გაუვიდა, მაგრამ ხელახლა სურს
შეინარჩუნოს სავარელი, ეგ საკითხიც ორშაბა-
თობით წყდება და აი ეს ორშაბათი ყველაზე მე-
ტაც მწარ-ტკბილია.

ერთ ასეთ კვიმატ ორშაბათს (წასული თვის
17) დიდი კორაცხელის მომსწრე იყო ბათუმი.
ქალაქის თავს თავობის ხანა გასვლოდა, მაგრამ
კვლავ სურდა. შეერჩინა თფიბილი ადგილი. არც
საკვირველია მას შემდეგ რაც მან ამ ადგილს
დაიბუდა ადგილი უფრო გათბა, ულუფა გაათკეც-
და, თვით ლორდ მერმაც დიდი სახელი მოიხვეჭა,
დიდი „მეგობრები“ შეიძინა,

მაგრამ კაი საქმე ვის დაუფასდა, ვისი ღვაწლი
სცნეს უბრალო მომაკვდებმა! არავისი! ვერ დაა-
ფასეს ბათუმის ხმოსნებმაც მათი უფროსის ამაგი,
ვერ მიუხდნენ დიდებულ ტაკტიკას და მადლი-
მატლათ უქციეს. ნაცვლად იმისა, რომ ერთხმალ
აერჩიათ მოინდომეს მისი გაშავება. მოვისმინთ
სხდომის ანგარიში და ყოველივე ნათელი იქნება.
სხდომას ყველა ხმოსანი ესწრება (ცხადია, ეს იმი-
სი ნიშანია რომ დღეს არჩევნებია). ესწრება არამც
თუ არჩეული ხმოსნები, არამედ აურჩეველიც კა...

გასაშავებელი თავმჯდომარე: ბატონი ხმოს-
ნებო! გურია-სამეგრელოს ეპიკოპოსმა ლეონიდე
სასულიერო წოდების ინტერესთა დამცველ ხმოს-
ნად დამტკიცა ბ. ლეონიდე, რომლის შესახებაც
თვით მღვდელთ-მთავარი იწერება, რომ ის პირა-
დათ იცნობს მის სენიას, როგორც დიდათ მორ-
წმუნე ადამიანს და ეკკლესიის ინტერესების მედ-
გარ დამცველს.

გამშავებელი ხმოსანი: სენატის განმარტე-
ბით ეკრძალება გუბერნატორებს ქალაქის თვით-
მართველობას, რაიშე თანამდებობის პირად, დაუ-

ნიშნოს ისეთი პირი, რომელმაც ყუთი დაიდგა და გააშვეს. ბ-ნი ლეონიდე მართალია დეკანოზის შეილია, შეიძლება დიდი ღვთის მოყვარეც იყოს, შეიძლება ბერათ აღკვეცასაც აპირებდეს, ამასაც ვიტყვი, რომ მასთან მე საპირადო არაფერი მაქვს, მაგრამ ყველამ ვიცით ის რომ ხმოსნათ ამ ერთი თვის წინ ისე გაათეთრეს, როგორც ყორანი,

სხდომაზე შემოვიტან წინადადებას ბათუმის სახელის გამოცვლის შესახებ. არ შევჭენის ბათუმმა ატაროს ძველი სახელი მტრისაგან დარქმეული,

(რაში მარცხნით, ჩურჩული

მარჯვნით: გვილალატეს, თორემ გაშავდებოდა).

ეი გაჲ!

ეგ საკადრი-

სი არ არის, ეგ თავდასხმაა თვით მართველობის პრინციპზე, ამიტომ მოვითხოვ ეცნობოს ეს ეპისკოპოზეს და ეთხოვოს სხვა დანიშნოს, განა ცოტა მღვდლებია ბათუმში და თუ ეს მღვდლები ბ-ნ ლეონიდეზე მართმორწმუნენი არ არიან გაკრიქოს. მოვითხოვ სანამ ეს საკითხი არ გადაიჭრება, მანამდი ბ-ნ ლეონიდეს ხმა არ მიეცეს...

გასაშავებელი თავმჯდომარე: ეგ საკითხი დღის წეს-რიგში არ არის, ვერც განვიხილავთ. ბ-ნი ლეონიდეც დღეს გვპირია, თვითონაც არ მოდიოდა მაგრამ სამგზის ვახელით ეტლი და ელჩი... (ხმოსანთა ნაწილი დრტვინავს).

თავმჯდომარე თავმჯდომარეობას გადასცემს თავის მოადგილეს. არიგებენ ბარათებს და ასახელებენ გასათავებელ კანდიდატს. ქალაქის თავი დელავს... 28 ხმა (42-იდან) ასახელებს ისევ ძველს. ერთი ხმა ასახელებს ხმოს. გ. მაგროპულოს.

მაგროპულო: მე ბევროთ მეტი ლიტის ვარ მაგ თანამდებობის, ვიდრე ის ტაქი მასხარა, რომელიც მე მასახელებს. (სიცილი) თავს გამოცოცხლება ეტყობა. იდგამს ყუთს, მაგრამ ღალატობს მიღებულ ეტყიას, ღალატობს დარბაისლობას და ჩვეულებისამგბრ ყუთს არ შორდება, იქვე დგას და კენჭოსნების მარჯვენას გაფაციცებით შესქერის. მისი სული საარჩევნო ყუთშია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის რომელ მხარეს იქნება — შავში თუ თეთრში... კენჭებს თვლიან... გათეთრდა. ორი წილი თეთრი და მესამედი შავი. ლოკები ბრეჭულის ყვავილს დაემსგავსა წელში გასწორდა და რიხიანი ხმით მიმართა მემარჯვენებებს: გმაღლობთ ბატონებო! ჩემი არჩევით თქვენ დაადასტურეთ ჩემი წარსული მოღვაწეობა, მოიწონეთ ის. გაძლევთ თავადურ სიტყვას, რომ კვლავ იმავე გზით ვიარო, (კვლავ შეგძინოთ „საპატიო“ მოქალაქენი და აბუბათ ავიგდო მოძმე მეზობლები). ვისწრაფვი ბატონებო წინ და წინ გაგიზიაროთ, რომ მე მომზად

გამოცანა

ბუქნარისათვის (გურა)

ორნი არიან ტოლნი არიან, წყვილად დადიან მიუხარიან. საქვეყნო ტვირთით ძლივს დალოდავენ, ოფლისა დენით მთელ სოფელს რწყავენ. სხვის კეთილ გრძნობას უცხვათ მარხავენ თვის ბოროტებას სხვის ბალში რგავენ და ეს გმირები, ახოვანები, სახით თქვენ იცით თუ ვისა პგავენ?

ორივ მაღალი ვით საროს ტანი, გულით ბოროტნი და ჯადოსანნი! ერთი რიგა ვით ცეცხლის ალი, გული შავი აქვს მას ვით მელანი. მეორეს მგონი თითონც მიხვდებით თუ კი რომ ცოტის ჩაუკვირდებით და მოიფიქრებთ პირველის ნაცნობს წამსვე გაიგებთ მათ ჩუმათ საძრომს. ვგონებ გეყოფათ აწ თქვენ საცნობათ (ექვს გარეშეა მჯავს დასდებთ ზორბათ).

იგი თქვენ.


შეკლე ხანშა გამოფა იუმორისტული აღმნაზი

„ჭინჭარი“


ბენია და ბეჭტიას ხელმძღვანელობით, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ მთელი ქავენის ასეუჯები.

მასალები გამოიგზავნება შრომის სტამბაში, ალმანახისათვის.

კახეთიდან თფილისისაკენ.



ეშმაკი (ეუბნება განდუქტორი): თუ ღმერთი გწამს გამიღე კარები, ფეხით წავალ, ძალიან მეჩქარება, თუ ამ კვირაში უურნალი არ შევადგინე, ჩემი „მათრახის“ წვერი მეც მომხვდება.



o. ზარდალიშვილის გამოშვანება თფილისისაკენ.

მათრახის სამარაცხელოს და მათ გადა
მის მოწინავის მასში მიმოდის და
ასე უკარგა მათ მასთან გადა
მოკიდარები იყო საბოძო და მდგრადი
და სიკეთებული და ამ მასთან მიმოდის
ამ მოწინავის მასში მიმოდის და
ასე უკარგა მათ მასთან გადა
მოკიდარები იყო საბოძო და მდგრადი
და სიკეთებული და ამ მასთან მიმოდის
ამ მოწინავის მასში მიმოდის და
ასე უკარგა მათ მასთან გადა
მოკიდარები იყო საბოძო და მდგრადი
და სიკეთებული და ამ მასთან მიმოდის
ამ მოწინავის მასში მიმოდის და
ასე უკარგა მათ მასთან გადა
მოკიდარები იყო საბოძო და მდგრადი
და სიკეთებული და ამ მასთან მიმოდის
ამ მოწინავის მასში მიმოდის და



ვაი-ვუი!

სევდიანი კუპლეტები.

— ვაი-ვუი ჩვენს საქმეს,
მოგვივიდა „სკანდალი“!
დაგვეკარგა ეშმაკი,
(ჩვენი მთავარ-სარდალი!)

კახეთისკენ წაფილა
(ზორი ოცდა-ცხრაჯერა),
ის ცოცხალი დაბრუნდეს
ალარავის არ სჯერა.

— ვაი-ვუი, განგებაშ
ეს რა ბედი გვარგუნა!
მთელი კვირა არა სჩანს,
დაგვეკარგა თაგუნა!

მათრახის მასალები
მას უნდა შეეღინა,
აგრე მიგვატოვებდა
როგორ წარმოგვედგინა?!

— ვაი-ვუი ამ ქამას,
ეს რა ხანა გვეწვია!
ეხლა კაცის სიცოცხლე
მხოლოდ ერთი ბეწვია.

იქნებ მტრებმა იმსხვერპლა
ჩვენი მეთაურები
და ჩვენ დავრჩით „მათრახში“
ეხლა ბედაურები?

— ვაი-ვუი ჩენს საქმეს,
ეს რა დროი მოსულა!
ხალხი მხეცი გამხდარა,
(ჰქუიდან გამოსულა!)

ჩვენც რომ ვინმებ გვიმსხვერპლოს
ყველგან ბრძოლის ველია,
მაშინ „მათრახს“ მასხრებიც
ხომ სულ შემოელია?

ეშჩაკეული.



ოზურგელი გაჭრის წერილი

ბატონი „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორი
ახლა იმისთანა დროია, რომ საკვირველი კი
არაა ბრუნდი და მართალი რომ არ გვიყითხოთ,
მარა თქვენც პოლიკია ხომ არ ხართ, უქრთამოთ
რომ სიმართლე ვერ დაგაწერით. რომ მოსდექით
და მარტუა ვაჭრებს მოგვდექით და გვამათრახებთ
და გვამათრახებთ, რას ფიქრობთ ვითამ, სხვაი დე-
ილია სამათრახო თუ? რეიზა არ აჭყროთ თვალს,
ჩვენ თუ სამათრახო ვართ სხვაი კიდევ ვარესია

ჩვენზე. ჩვენ კაი თუ გინდა აბაზიან საქონელში
სამ აბაზს ვიღებთ, მარა აბაზის სალირალს ხომ
მაინც ვიძლევით და ამიზა დიდ დროსაც არ უკარ-
გავთ მუშტარს. მარა ახლა იყითხეთ ერთი რას
შობიან აქაური ქალები, ნახეთ ერთი რაფერი ვაჭ-
რობა აქვენ. მოსალამურდება თუ არა, რავაც მუ-
აწევს დუქნის დაკეტვის დროი გამუაგზავნიან აი
ქალბატონები თავის უწლოვან ბალნებს და შემო-
თვლიან:

— ნენამ შემოგითვალოთ შენ რომ იციო,
ახლაო ამელამ მაქვსო იმის დროიო.

ჩემისთანა ბერიკაცს, ვერ მივართვი პატრიჯა-
ნი, ველარ მუატყუებენ, მარა გეირყენა ბატონი
რედაქტორო ახალგაზრდა ვაჭრები, პრიკაშჩიკები
და მათი შემხედვარე ბალნები. ეიღებენ თავს, გვ-
იბზაკინებენ ულვაშს, მოალაგებენ დახლიდან
ფულს, გეივებენ ჯიბეს, წაათამა შებენ ტროსტს
და მიღიან ქალბატონებთან სახრაპოთ და მთელი
ლამე ხრაპ და ხრაპს იძახიან. ჩემს დროსაც ვთა-
მაშობდით ბატონი ბანქოს, მარა კონჩინის და
ხანდახან ჩაქას, იმასაც გადურაქებაზე თვარი ტყა-
ვის გაძრობაზე კი არა. ახლა გასძვალა ბატონი
ამ ქალებმა ახალგაზრდები, გაშპა ყველას ტყავი,
რამდენმა წააგო ბანქში შესატანი ფული ვინ იცის.
ამელამ წააგო, ხვალ ამეკიგებო ფიქრობს, მარა
ხვალ კიდევ ვარესი ემართება.

არ იფიქრო ბან რედაქტორო ორი სამი ქა-
ლი თამაშობდეს, ორი სამი კი არა მთელი ოზურ-
გეთის ქალები თამაშობს, აგი რაცხა ხრაპია ყვე-
ლას დიემართა და თუ თქვენც ქალების ფხარი არ
გიკავიან მაგინის პათრეთს გამოგიგზავნი და ერთი
ჩაკარიკატურეთ თქვენს „მათრახში“, პაწეო მათ-
თახი მაგენსაც თვარ მოხდა აგი ავათმყოფობა შე-
ყობა ასე ხევით და ქე ავა სურებამდი.

სულო ცოდვილო, ფართლის ვაჭრებიზა კი
არაა აგი გლახა, რადგანაც მეიგებენ თუ არა ქა-
ლები მორე დღეს მოცნი სარუბაშეს ყიდულო-
ბენ, მარა სხვა ვაჭრები დევიუსეთ პირდაპირ. ამის
თუ ჩავდებთ ვაზეთში იმით მივხვდები, რომ თქვენ
ქალებს ხელს არ აფარებთ და ყველა მტყუანს
ერთნაირად ამათრახებთ.

„ეშმაკის მათრახის“ მკითხველი ოზურგელი
ვაჭარი ესიკი ჭინჭარ-ოლლი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

ბუქნარი. (გურია) ოოგორუც გამოიჩევა აღგოლობრივი შეკოლის დაწვეს აწყობდა ორი ქველმომქმედი პირი ფრიად სიმპატიურის მიზნით?

ხიდისთავი. სარწმუნო წყაროებიდან გაუგია ჩვენს კორესპოდენტს, რომ ბასილეთის საზოგადოების ყრილობა დიდხანს არ შედგება, რადგანაც მამასახლის, სანამ ღვინო, იმონება ყრილობისთვის არ ეცლება.

იქიდანვე. ყოფილ მასწავლებელს და დღეს მხედრობის წარმომადგენელს ტ—ხან ჭე—შვილს აღგილობრივმა ინტელიგენტიამ „პიკნიკი“ გაუმართა. საპროგრამო სიტყვა ექიმმა ს. რ—შვილმა წარმოსთქვა, რომელიც ვრცლათ შეეხო დღემანდელ მომენტის დაფასებას, მისმა ორატორულმა ნიჭმა დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

იქიდანვე. რადგანაც აღგილობრივი დრამატიული დასი იმ თვის დამლექს „ბახმაროზე“ მიემგზავრება წარმოდგენების დასადგმელათ აქ წარმოდგენებს გამართავს ბუქნარის ღრამატიული დასი სილევან კალანდაძის რეჟისორობით.

იქიდანვე. ვ—ენ კ—ძეს შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს, რათა მას ნება დართონ დაბა ქაცვინარში გახსნას მეორე წვრილი საკრძლიტო ბანკი. ოოგორუც ამბობენ ეს გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ხიდისთავის საკრედიტო ბანკს უარი უთქვაშს ვ—სთვის წევრობაზედ.

ლილიპუტი.

ზუგდიდი. ზუგდიდის სამაზრო სამოსწავლო კომისიამ საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ამ დღებში შესდგება მასწავლებლთა ჯგუფი, რომელიც გამოცაის ყველა მასწავლებლებს ქართულში და სხვა საგნებში და ვინც ჩაიჭრება იმათ გზავნის პოზიციაზე. ჯგუფში სხვათა შორის შედიან ჩვენი რაიონის წარჩინებული მასწავლებლები: ბ.ბ. კოწია ეხვაია, ვასილი კუტალია და სხვები, მხოლოდ ამათხეა ყველაფერი დამოკიდებული. თავმჯდომარეთ იქნება მოწვეული პლატონ ბერაია.

მოსწავლე.

აბაშა. ეს ერთი ხანია (3-იასტაური აბაშაროვის გადაყვანის შემდეგ) ჩვენს დაბას შემოესია ღორების ლაშქარი, შეიარაღებული ქიმიის უკანასკნელ გამოგონებით, სულ შემხუთავ გაზების მაგვარ რაღაც „სიმყრილით“, რის შემწეობით დაიპყრეს მთელი დაბა. ქუჩებში „ნიღაბ“ აუფარებლათ სიარული მეტათ სახითათა. სანიტარული კომისია სხვა და სხვა „სტრატეგიული“ მოსაზრებით (უფრო კი მოქალაქეობრივი გამბედაობის უქონლობის გამო) ჯერ-ჯერობით უბრძოლველათ უკან იხვეს.

ოოგორუც გავიგეთ სანიტარულ კომისიას შეტევის გზაზე დადგომა და დაბიდან ღორების ლაშქრის განლევნა განუსაზღვრელ დროისთვის გადაუდეია. თუ ეს ხმები გამართლდა მაშინ დაბის „ევაკუაცია“ აუცილებელია. მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. საჭიროა, რამოდენიმე მათრახოსანი ჭინქები, შეიძლება მათრახის კუზმა გასჭრას და სანიტარული კომისია დაყუნოს შეტევის გზაზე.

იქიდანვე. მასწავლებელ ქალებს სამკითხველოში „სისტემატიურმა სიარულმა“ და გაზეთების „მეტის მეტმა კითხვამ“ თვალები სასტრიქათ დაუზიანა. რის გამო „დროებით“ (ორი წლით) შესწყვიტეს სამკითხველოში სიარული.

იქიდანვე. „ცეკვლინების დაბაზე თავ დასხმის შიშით დაბის მამებმა სიფრთხილის ზომები დროზე მიიღეს. დაბის „გაზავოე ოსვეშენიეთ“ განათება სასტრიქათ აქრალულია. ასე რომ აწი მტრის დირიქტორი ვერას დაგვაკლებენ, თუ სადმე ქუჩის სიბნელეში კისერი არ მოვიმტრიეთ...“

კიბო.



ჩვენი მღვდელი.

(საბჭო დღელია-გამოცანა)

დელი-დელი, დელი-დელი,
ხომ გინახავთ ჩვენი მღვდელი?
ლამაზია, ენა-ტკბილი,
მოქადაგე დაუღლელი.
დეკანზობა მიიღო
შეუსრულდა ათი წელი,
ახლა კი „მაძებრობისაც“
დაიმტკიცა მან სახლი.

გულ-კეთილი ვინშე არის —
ძლიერ უყვარს მუშა, გლეხი;
მათი ზურგი გაუტკბილდა
და დაადგა მძიმე კეხი,
ხოლო ვინც გაუჯიუტდა,
მოუვლინა რისხვის მეხი,
მისგან დადგმულ მაცდურ „ხუნდებს“*)
ბევრმა წაატეხა ფეხი:

ზოგსა მოძმე გადაჰკიდა,
ზოგს ვაჭარი, და ზოგს მცველი,
ზოგს პირადათ გამოუდგა
და მოსტეხა უძლურს წელი;
ბევრიც იქით მიაბრძანა
სად საკანი სუფევს ბნელი,
აი ბიჭო გენაცვალე,
ასეთია ჩვენი მღვდელი.

ძლიერ უყვარს განათლება,
თუ კი დარჩა სარფიანი:
ერთი სკოლა გამოსჭიმა
ოციოდ ათასიანი,
მაგრამ კარგათ გამოგვიწყო —
სწავლია ბარაქიანი
ტყუილი კი არ გეგონოთ!
მღვდელი გვყავს ხელ მადლიანი.

სასახელო კაცი არის
ნაკურთხი და ჯვარიანი
მთავრობასაც ძლიერ უყვარს,
ის ენა ჯვარიანი
და სკოლის რომ „წაიმასქნას“,
ჩვენ ხომ არ გვაქვს მით ზიანი?
გული ამით გავიკეთოთ,
ოდელია, დელი-ნანი.

ბევრ საქმეში გვმეთაურობს
და არ მიაქვს სასყიდელი
(თუმც რაღაცა მანქანებათ,
ბოლოს ჯიბე გვრჩება თხელი ...)
მაგრამ ამას არც კი ვიმჩნევთ,
რადგანც ჭირში გვყავს მშველელი...
აწი ენა დაგამოკლოთ —
აქ ბევრია საქმე ბნელი...

თუმც ყოველ მხრივ იკბინება,
პირში ტკბილობს ვით მელია,
„დიპლომატსა“ ეძახიან,
ჩვენებრ — ფარისეველია,
მაგრამ კული გამოუჩნდა:
ვიცით არის ის მელია!
ელი-მელი! დელი-დელი
ტურა-კეკმა! ტერ-მელია...

აბა დელი, ვოდელია
ბანძა დიდი სოფელია,
და ბატონათ მოგვევლინა
ტურა-კეკედ მყოფელია.
გაუფრთხილდით უმაწვილებო,
დურმიშხანობს მძრომელია
დედლი-დელი, გენაცვალე
ხომ იცანით რომელია?

მაჯლაჯუნა.



*) „ხუნდი“ (მეგრ.) — რკინის მახე მხეცების (უმთავრესათ ტურების) დასაჭრი, ძველათ, ბატონ-ყმობის დროს, დამაზავე გლეხებსაც „დასვამდენ ხუნდზე“ — ე. ი. „ხუნდებს“ გაუკეთებდენ ფეხზე, რის გამო ხშირათ ფეხის ძვალი გადა-იმტკრეოდა ხოლმე. ეხლა „ხუნდის“ ქვეშ იგულისხმება „დანდი“, ეშმაკობა, ხრიკი, რომელიც ავნებს, ან ფეხს წაატეხი-ნებს კაცსა..

გამოცანა.

(ქვემო რაჭისათვის)

ვაჟია ყარაბილელი
უყვარს ყურძნისა წვენია.
ცუდი სიტყვების ხმარება
ოდნავაც არა სცხვენია.

მოხელის როლისა ასრულებს
იცის ზედმეტი ტრაბახი,
(მას ძლიერ დაშვენდებოდა,
თავს ედგას კინტოს თაბახი).

სამსახურის დროს მთვრალია
(ფხიზელი დმერთმა ნუ ქმნასა!)
ხან „პოსტზე“ სრულაც არ არის
არღანზე უვლის ბუქნასა.

ხან ლექსით ატკბობს ნუნუს
ხან კი გიუივით შფოთავსა,
(ამბობენ თურმე საბრალო
ძილშიაც ღვინოს ბოდავსა).

ზედი ზედ აშრობს ყანწებსა
იცავს ბახუსის მცნებასა
(ხალხი კი „პოსტზედ“ ამაოდ
ელის მის „მობრძანებასა“).

ლოთობა არის იმისი
ცხოვრების გზა და ხილია,
ხალხიც და საშახურიცა
იმას ფეხებზე ჰქიდია.

ასეთი ტყვილა მყოფელი
კარგ ჯამაგირსაც იღებსა
და თანასწორად ურიგებს
მიკიტნებ. არღანჩიკებსა.

აბა ვინც მიხვდეთ, საჩაროდ
ისწრაფეთ ცველამ მისკენა
და იქვე ბესოს ღუქანში
კარგად მოგალენისთ ის თქვენა.

კვახი.



ლევან გრძელიძეს. პოეტობისათვის რომ სი-
გრძე იყოს საჭირო, მაშინ თქვენს ბედს ძალი ვერ
დაჰყეფდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ეგრე არ არის.
თქვენ სწერთ:

ა რ წ ი ვ ი ც ა გამიურინდა,
მიმიტოვა ობლათ ბუდე..

ან კი როგორ შეეთვისა
სიმართლეს რომ სჯობდა მრუდე”.

საჭიროა, (სიგრძესთან ერთად) ფრინველების
ცნობაც. სირცევილია „მგოსანმა“ მწყერი არწიუ
ვისაგან ვერ გაარჩიო.

ჭკუის სალაროს. თქვენი ლექსი „კვნესა სუ-
ლისა“ არ იბეჭდება, ვინაიდან სრულიად არ შეე-
ფერება თქვენს ფსევდონიმს. შეიძლება ვინმე უნი-
კოს გაატანეთ ფოსტაში და გამოსცვალა.


ბ-6 ცევიტს.

თქვენი ლექსი „სამშობლოს გმირს“,
დამერწმუნეთ, ბეჭდვათ არ ლირს
და ამიტომ სამოგზავროთ
გავაგზავნეთ კალათის ძირს.

ლილ. ჭკუასელს. „აჩქარებითა სახელი
არავის მოუქამიაო“, ამბობს ქართული ანდაზა.
თქვენს ლექსს აშკარათ ეტყობა არ მიგილიათ ის,
რასაც „ფსევდონიმში“ მოუთმენლათ ელიო. დღეს
დღეობით მიმოსვლა შეფერხებულია და უმჯობესი
იქნებოდა, როცა მიიღებდით მერე დაგეწერათ.

„როგორც ხედავ, მოლოდინში
გული დარღმა გამიხვრიტა
და დავდივართ თავდახრილი
მე და ჩემი „მზისუკვრიტა“.

ცოტა ხანს კიდევ ისეირნეთ.



ԱՐԵԱՆԻ ՍԼՈ ԱՇԱԽԱԲՈՒ ՖԱՆՃՅՈՒԵԱ!

ՍՄԱՆԱՏՈՒ ՇԱԽԱԾՈՒԱ.

5 Եցլութեա գազուա, հաւ իյմո գամոցոնուու թամալու „Հապուա“ գասասկուած գամոցուա, սամյառնալու ծածքու նյեարաւու № 1295, սուսոնարու թամլունուտուու, հոցուրը մա- գարու, ույ երանույլուուս. ամ ենու գանմազլունա թու „Հապուա“-ւ Ֆրեպարարու տասունու այստ- մուու սրուլուած գանույրնա, հութելուացնա սամալունցելու Ֆրերուու մայքս. թամլունու սետու նայուու լուցլունա մածլուն, Ֆրեպարարու „Հապուա“-ւ, հոցուրը պայլանց արևեցուու լա սթիւալ մոմբյեա սանցալունա մայքս. վարիու պայլուս.

Սկանասկնել թուու լազուրացեամ կալուա ջամբույլա, հոմ „Հապուա“-ւ Ֆրեպարաւու թամլունու թեմլու սուսոնարու հոմ առ մոռիենուուու մուստան թեմտեցցա առ առու, մուստան գաճաշրու զաքեացեա, հոմ հաւ սոն եանցրմուու ուու ազալմուունա իյմո գա- մոցոնու սանցալունա սամ կարանա թամլունա սակմարուսու սուսոնարու մուստան, լա „Հա- պուա“-ւ թեմթիւունու սրուլուած մոռիենուու սոն.

Յարտալու, յայանասկնել թուու սուսոնարու (ցոնուու) վիճածմուց ծյուրու սանցալու- նա գամունու, հոմելունու իյարու լա առեցու գանույրնեան քուրլունեն լա ազալմուու, թելամու, ցուլու ցաւրու ամ թամլունու լոնացուունու լա սամարտլունա թելունուն լուցու տալու թեմթիւու իյմու թամլուսա լա, — ամ թեմտեցցա մատու պարաւունա մի գահեմոց- նան մուզայլու, հոմ իյմո հիմեն „Հապուա“-ւ լուցրունա թու իյմո լապունա լուունու սո- ւու հոմ առ առու, մուս ջասամէկուունու պայլուս, ցոն լու իյմու Ֆրեպարարու „Հապուա“-ւ ուու ուրմաց լուցրուն (թամլունու մուրու կուրու) լունարունա, թամլունա յուրա յացնացեա իյմու ելութիւունու, հոմ լուցու առ մոստինուս, լուլու լու յանց լուցուրուն.

Բոթուն իյմու ելութիւունուս: „մյ, մուս կայեմուրու ելուսա մոթիւրուու, ամ ելութիւրուու զամլու ծաւուն (ամա լա ամա) մուն, հոմ մուցու լա մաս իյմո „Հապուա“-ւ ուու լուց- րուն, սուսոնարու վիճածմուց, տացլուն զար, հոմ ուու լուու թամլունու թեմլու յու սե- սուլունա սրուլունա գայքիրեա. ուու օլնուն զաւան հոմելունու լածուրարունա մարդուս գամոյլունա թեմլուն ալմունուն գանույրնեան լուու, մանու զալունցելու զար հու մանտու զալունցելուն“ (ելու. մոթիւր.).

Ցեմու մուցունու լուուն, հոմ ծյուրու գանույրնեան օչալմուունուսացան սամալունց- լու վիճրուն, ցագուցուու իյմո գանունա լուն մուտուու եռլու մալունու վիժ- րուն, ամ վիժրուն լուցուն (այսարեցելու) իյմուն մուստան լա պայլուս մեսուրացու թելունուն մասու նաեւու. վիժրուն սունամուցուու տացլուն զար, ուու հոմելու մու մատցան լուցուն առ յունանեմեա, զալունցելու զար, զալունցելու 1000 մանու հութու լութելունու սանցալուն.

17. թ. ե., թ-ն գուլամուրու! լութա լութուն տյացեն թամլու „Հապուա“-ուստու, հոմելունու յուրա ույսա ույսա գանունա կարց գայլուն. մելուս գանունա լութուն լութուն մալուն մալուն վիժ- րուն գանունա լութուն կոմերուունու մուստան առ պայլուս, առամեւ այսալմուու գանույրնեան սրիւն, մանու տալուու լութուն լութուն, գանունա լութուն լութուն մալուն.

Եռցցարաւու 14 մանրու, 1914 թ.

3. 6. 3. 6.

Թալմունու սրուն կուրուսու, ուունա վիճրու լուցրունու լութուն վասուն լութուն մանու. ցացնացու լութուն լութուն առ մանու. լութուն լութուն ցացնացու լութուն մետուն մանու, ուու ծյու վիժրուն լութուն 3 մանու.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдеіленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлісъ Эриванская плош. Пушзинская 3 отд. э/м. верхній этажъ.

ქალაქ თბილისში

გამოდის ურველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

თბილის მათრახელი

უურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეჭმაჟი და თაგუა,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

უურნალის ფასი 12 თვით 5 პ. ♦ 6 თვით 3 პ. ♦ 3 თვით 1 პ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ეჭმაჟის მათრახში“ დაიბეჭდება მ ნ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზოაპრები,
არაფეხი, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

♦ უურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ აღრესით:

Тифлисъ

*)

C. P. Тавартиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეჭმაჟის მათრახისათვის)



*) ეს აღვილი კონფერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის —



ୟେ ଡାକ୍‌ପ୍ରେସ୍, ମେଚ୍‌ବର୍ଜି ଲଙ୍ଘା ସାକ୍ଷଳ୍ ଡାକ୍‌ପ୍ରେସ୍ ଓ ଲାମିଲ୍ ପ୍ରାଣ୍‌ଶିଳ୍ପିଙ୍କ ଡାକ୍‌ପ୍ରେସ୍